საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 373

თბილისი „30" 10 2018 წ.

2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები და დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტებისა და „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 29 ოქტომბრის N1391599 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების მიზნით, განისაზღვროს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები:

ა) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი";
ბ) სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი";
გ) ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი";
დ) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი";
ე) ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი";
ვ) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა";
ზ) სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
თ) სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა";

ი) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“;
კ) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“;
ლ) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“;
მ) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“;
ნ) ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“;
ო) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“;
პ) სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ჟ) სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
რ) სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
ს) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ტ) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის; მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი;
უ) სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“;
ფ) სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ქ) სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი;
ღ) სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“;
ყ) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“;
შ) ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“.

2. 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები საგამოცდო ცენტრებში განაწილდნენ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი